სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

30 დეკ 2025

გადაწყვეტილება # 892025459703-07 (30.12.2025)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **892025459703** განცხადების მიღების თარიღი: **08.12.2025 16:06**

დაინტერესებული პირი: **შპს ელენია გრუპ (405569898)**

წარმომადგენელი: **აკაკი ჯანელიძე (37001013083)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, შერმადინის ქუჩა, N 29, სართული 4 , ბინა N20, ფართობი-46.22 კვ.მ, 01.72.14.036.125**

მომსახურების სახე: **მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება)**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია ურთიერთშესაბამისობაში მყოფი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება).

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ურთიერთშეუსაბამოა (პროექტი და ბრძანება), კერძოდ, პროექტის თანახმად, ავტოსადგომების ფართი (მისასვლელ გზასთან ერთად) წარმოადგენს 332.8 კვ,მ, ხოლო ბრძანების თანახმად- 133 კვ.მ.;

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/

ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N22 ::: www.napr.gov.ge